

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციასა და დიასპორის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის
აპარატს შორის მიგრაციის სფეროში
თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი
გაფორმდა**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



2013 წლის 11 სექტემბერს 12:00 საათზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის ხელი მოეწერა მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს. მემორანდუმის მიზანია, ხელი შეუწყოს მხარეებს შორის თანამშრომლობას შემდეგ სფეროებში: საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა; საზღვარგარეთ ქართულ დიასპორებთან ურთიერთობების დამყარება. მემორანდუმს ხელი მოაწერეს კახა კოჭორიძემ - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ და კონსტანტინე სურგულაძემ - დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა. მემორანდუმი ითვალისწინებს მიგრაციის სფეროში ერთობლივი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას.